# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 49. | კვირა, 14 ივლისი 1902 წ. | გაზეთის № 1866.

*
* *

ამოდის მთვარე,
პირ-მომცინარე,
გულ-მკერდს უქარგ'ვს შავ-ბნელ ქვეყანას,
და მთის აჩრდილი,
ვით პირმშო შვილი,
ეალერსება ბუნების ნანას.
ჰა, ამოგორდა,
მთებს ამოშორდა,
ცეცხლის ბორბალებრ ამაღლდა ცაზე
და მაშვრალთ ბინა
ნათლით მოჰფინა,
გაიათკეცა თვისი სინაზე.
აგერ ნიავმა,
მოუსვენარმა,
მუშაკს რაღაცა წაუჩურჩულა...
ფრთა-ფრთას შემოჰკრა
და მისი ოხვრა
მნათობს უამბო... უმოციქულა...
გასცურდა მთვარე,
შუქ-მონარნარე,
უეცრად ღრუბლებს ამოეფარა,
აცრემლდა ზეცა...
მიწას დაეცა
ნამი ღვთიური, წმინდა, ანკარა...

განდეგილი

9 ივლისი, 1902 წ.



გამოჩენილი მექანდაკე მ. ანტოკოლსკი.

# ასეთია ცხოვრება!

### მოთხრობა ხედენშტერნისა

(თარგმანი)

ქ. სტოკჰოლმის ერთს პატარა ოთახში მკურნალი ემბერ ჰარტ-ბერგი თავის ნივთებს აწყობდა ჩამადანში. მკურნალს მოელოდა მეტად სასიამოვნო მგზავრობა, ისეთი, როგორიც არ გამოეცადნა მთელ თავის სიცოცხლეში, ოცდა თორმეტ წლის განმავლობაში. იგი მიეშურებოდა „იმასთან“, ვისაც იმისი გული შეეპყრო... პორტმანეს ერთ განყოფილებაში მკურნალს ჰქონდა თხელ ქაღალდში გახვეული „ოქროს ბორკილი“, რომელიც ხვალ საღამოს თითს დაუმშვენებდა. ღმერთო ჩემო, რა სულელნი არიან ადამიანნი! ამას ეძახიან „ოქროს ბორკილს“; რა გაცვეთილი და დაძველებული სახელია! არა, არ ვარგა ასეთი სახელი, არ შეეფერება იგი ამ საყვარელს ოქროს ნიშანს; უკეთესი იქნება ალაფი ვუწოდოთ, გამარჯვებისა და ძლევის ნიშანი.

ივლისის მზის სხივებით განათებულ ოთახში მდგომი მკურნალი ძლიერის, ჯან-მთელისა და მხნეობით აღსავსე ტანითა და გამომეტყველებით კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. მკურნალი თავისუფალი კაცი იყო; ცხოვრებაში იგი მხოლოდ საკუთარის სურვილითა და ნებით ამორჩეულ საქმეს ემსახურებოდა და მოწოდებას მისდევდა. შეძლებ იმდენი ჰქონდა, რომ კარგა ძალი ფული უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც დარჩა, ამასთან მომავალ საცოლესაც კარგი მზითევი ჰქონდა, ასე რომ შეეძლოთ თავიანთ სურვილისამებრ მოეწყოთ სადმე თბილი, სასიამოვნო ბუდე და ბედნიერად ეცხოვრათ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ვინიცობაა ავადმყოფნი, ექიმთან სამკურნალოდ მოსულნი, დროზედ არ მისცემდნენ ფულს.

სწორედ ერთის დღის შემდეგ იქნება მკურნალი თავის საცოლესთან ჩრდილოეთში. მაგრამ გასაოცარი იყო, რომ ექიმს არ ეტყობოდა კმაყოფილება, ის სიხარული, რომელიც იმის სახის გამომეტყველებას უნდა დასჩნეოდა. საკვირველია, რატომ არ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, როდესაც ყოველივე ასე კარგად ეწყობოდა და ყველაფერი ბედნიერ მომავლის მომასწავებელი იყო. სჩანს, რაღაც აწუხებდა, დარდი უღრღნიდა გულს, რომ წარბებს ისე იკრავდა და მწუხარედ ოხრავდა....

ემბერ ჰარტ-ბერგი მეტად თავისებური კაცი იყო. უპირველეს ყოვლისა იგი სინიდისის პატრონი იყო (მერე როგორი მახვილისა და გრძნობიერის სინიდისისა!) შემდეგ, წმინდა წყლის იდეალისტი, რაც ხშირი მოვლენაა ახალგაზდა მკურნალთა შორის. წარსულ გაზაფხულის ერთი მოგონება იყო მიზეზი იმის მძიმედ ოხვრისა და წარბების შეკვრისა. ამ გაზაფხულს ზღვის პირად, პატარა კუნძულზედ, დაიქირავა ერთი ოთახი მეთევზის სახლის ზემო სართულში. იქა ჰსურდა თავისუფლად და შეუწუხებლად საეგზამენიოდ მომზადება იმ საგნებისა, რომელთა შესწავლის დროსაც საჭირო არ იყო საანატომიო დარბაზსა და ლაბორატორიაში ყოფნა. მაგრამ მეთევზეს ჰყავდა ახალგაზდა მშვენიერი და წარმოსადეგი 20 წლის ქალი; იგი თავის ოქროსფერ თმითა და მშვენიერ ჟუჟუნა თვალებით ნამდვილი ტიპი იყო ინბორგელ ქალისა.

ემბერ ჰარტ-ბერგი ხშირად აი ამ თვალებში უფრო ბევრ რამეს ამოიკითხავდა ხოლმე, ვიდრე მუდამ ჟამს გაშლილ წიგნებში. წიგნების კითხვისათვის ახალგაზდა კაცს არც დრო ჰქონდა და არც ნდომა. რა დროს წიგნი იყო, როდესაც ყოველ წუთს ქალი ედგა თვალ-წინ, როდესაც იგი გულწრფელ და წმინდა სიყვარულით უყვარდა, ერთის სიტყვით უყვარდა ისე, როგორც ნამდვილს იდიალისტებს შეუძლიანთ სიყვარული. უძღვნიდა ლექსებს, დასეირნობდა ხოლმე იმასთან მთვარიანს ღამეში ზღვის პირად, ტყესა და ღრეში. ბევრჯელ უსაყვედურნია თავის-თავისთვის, ბევრჯელ შეწუხებულა იმის გამო, რომ ხანდახან თავს ვერ იკავებდა, ეხვეოდა და უკოცნიდა ბრწყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნვალე თვალებს და მთრთოლვარე ტუჩებს. ქალი არავითარს წინააღმდეგობას არ უწევდა, ისე ექცეოდა, როგორც მოფერებასა და ალერსს მიჩვეული ლამაზი ბავშვი. აი ეს მიაჩნდა ახალგაზრდა კაცს სიწმინდისა და გულუბრყვილობის საბუთად. ქალი არ ერიდებოდა, ფულსაც იღებდა იმისაგან, როგორც ბავშვი კანფეტებსა ან სათამაშოებს იღებს ხოლმე. ემბერ ჰარტ-ბერგი არაფერს არა ჰპირდებოდა, არ ეფიცებოდა და არც ქალი თხოულობდა ამას. როდესაც ყმაწვილი კაცი ჩურჩულით ეკითხებოდა, გიყვარვარ თუ არაო, ქალი წყნარად და გრძნობიერად ეხუტებოდა გულში. აი ეს სიჩუმე, ეს მოკრძალება ყმაწვილ კაცის თვალში უფრო მჭერმეტყველი ნიშანი იყო სიყვარულისა, ვიდრე მთელის ქვეყნის ქალთა სასიყვარულო სიტყვები.

ის კაცი, რომელიც სულით და გულით იდეალისტია, ცხოვრებაშიაც თავისს პრინციპების მართლ-მორწმუნედა რჩება. ასეთი იყო ემბერ ჰარტ-ბერგიც; იმან შესძლო თავის გულში სიყმაწვილის ვნებათა ღელვის ჩაქრობა; შემოიკრიბა ძალლონე და შეეცადა არ „შეურაცხეყო ეს წმინდა სული.“ ყოველთვის უსაყვედურებდა თავს აჩქარებულ ალერსისა და კოცნისათვის. განა ეს ანგელოზი საკუთრება არ იყო იმისი!.. სწორედ ამიტომ უვლიდა და დასტრიალებდა თავს: მეთევზეს ქალი უნდა გამხდარიყო იმის ცოლად, — უკვე გადასწყვიტა გულში და ფიციც დასდო. მხოლოდ ეხლა არა ჰსურდა რისამე თქმა, ეტყვის მაშინ, როდესაც საქმე საბოლოოდ გამოირკვევა, როდესაც რიგიანად გაათავებს სწავლას და მოეწყობა. ეხლა კი ერთად-ერთს იყო მხოლოდ მოწადინებული — დაურღვეველი სიყვარული განემტკიცა იმის გულში. ცხადად ჰხედავდა, რომ შესძლო კიდეც ესა.



იოანე მრისხანე.—ქანდაკება ანტოკოლსკისა.

შემოდგომაზედ, როდესაც ყმაწვილ კაცის წასვლის დრო დადგა, ქალი გულ-მდუღარედ მოქვითინე იმის გრძნეულად მოხვეულ ხელებზედ იწვა და ცრემლს აფრქვევდა. ხოლო როდესაც ნოემბერში ხელახლად გაჩნდა რამდენისამე დღით, გამხდარი და ჩამოყვითლებული ქალი ძლივს იცნო. როგორ სიცოცხლით გაუბრწყინდა თვალები, როდესაც აღუთქვა, საზაფხულოდ ისევ დავბრუნდები და მაშინ....

აი დადგა კიდეც ზაფხული, მოვიდა დრო გამგზავრებისა... მეთევზის ქოხისაკენ. ვინ იცის, იქნება ეხლა ყოველ დღე ზღვის პირზე დაიარება და მოუთმენლად, აღელვებული გაჰყურებს ყოველ გემს, ყოველ ნავს: მოდის თუ არაო? აღარ მოდის... აღარც მოვა როდისმე... და იმისი საყვარელი, ზღვის პირის ნაზი ყვავილი დასჭკნება და მოკვდება... იგი ხომ ისეთ ქალების რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ ასეთ შემთხვევის ატანა და ახალ ცხოვრების დაწყება..



კიევის ნაწილი, სადაც ამ დღეებში მოსულმა ნიაღვარმა დიდი უბედურება მოახდინა.

ეხლა ექიმი ბ-ნი ემბერ ჰარტ-ბერგი მიემგზავრება იმასთან, ვინც განათლებით, მდგომარეობით თანასწორია, ვინც რამდენსამე დღეში დაატყვევა, მოჰხიბლა იმისი გული და აღმოფხვრა იქიდან სახე ზღვის

პირის ყვავილისა. ბედნიერი, უსაზღვროდ ბედნიერი იქმნებოდა იგი, რომ.... სინიდისი არ ყოფილიყო, ეს სადღაც გულის სიღრმეში ჩამალული მამხილებელი ხმა... იგი უღრღნიდა, უქეჯნიდა გულს... რისთვის დაინახა „იგი“, რისთვის ალუნთო გულში სიყვარული ამ ყოვლად მართალს არსებას და მით საუკუნოდ გააუბედურა?!. რას არ გაიმეტებდა, რას არ მისცემდა, ოღონდ საქმე ისე არ მამხდარიყო, როგორც მოხდა... რა კარგი იქმნებოდა, სულ არ ენახა ის, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად, ვითომც, ასე გატაცებით უყვარდა... სცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ ამგვარ საქმეს სხვა ყურადღებას არ მიაქცევს, რომ ასე ათასში ერთი თუ დაიტანჯება მხოლოდ. ის ქალი რომ შეერთო ხომ მთელი ქვეყანა სასაცილოდ აიგდებდა, სულელურ სანტიმენტალობას დასწამებდა და ბავშვად ჩასთვლიდა. ან კი სადარდელი რა არის: ქალისათვის ხომ „შეურაცხება“ არ მიუყენებია, პირობა ხომ არ აღუთქვამს?.. მაგრამ ვერც ეს მოსაზრება დაამშვიდებს მოუსვენარ სინიდისს. კარგადა ჰგრძნობდა ბ-ნი ექიმი, რომ ამ გვარ მალამოს ჭრილობის განკურნება არ შეეძლო...

ეხლა ყველაფერი მზად არის. კიდევ ერთი საათიც მოვალეობის შესასრულებლად და შეიძლება გამგზავრება. უფროს მკურნალისა ბ პროფესორის ხელმძღვანელობით ემბერ ჰარტბერგის უნდა დაეთვალიერებინა სტოკჰოლმის საავადმყოფოს განყოფილება, სადაც ის ქალები იწვნენ, რომელთაც კანონით ნება არა ჰქონდათ დედობრივ სიხარულისა. პროფესორმა ერთის პალატის დათვალიერება დაიწყო; იგი დამსწრეთ უხსნიდა შესანიშნავს მოვლენას მშობიარობისას, რომ მოულოდნელად... ექიმ ემბერ ჰარტ-ბერგს სისხლი თავში აუვარდა და ფეხები მოეკვეთა... ერთ საწოლზე თვალი მოჰკრა „ზღვის პირის ყვავილს“. თვალთ დაუბნელდა ყმაწვილ კაცს, აღარ ახსოვდა, ანიშნა ქალმა რამე თუ არა; ახსოვდა მხოლოდ ის, რომ როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, უკანვე დაბრუნდა ვითომ და დავიწყებულ ქალალდისთვის, მოსამსახურე ქალი დაითხოვა, სკამზე დაეშვა და ჩურჩულით უთხრა:

— ელენე!.. რა ამბავია?... სად შევხვდით ერთმანეთს?...

— ღმერთო ჩემო, ძვირფასო ბატონო მკურნალო... რომ იცოდეთ, რა უბედურება მომივიდა...

— ვინ არის დამნაშავე? მითხარი, ვინ არის მამა შენის ბავშვისა?

— ხომ იცნობთ იოსებს, ჩვენის მეზობლის ლოცმანის შვილს?..

— განა დიდი ხანია იცნობ იმას? ან როდის მოხდა ესა?

— როგორ გითხრათ, ძვირფასო მკურნალო... აი ორ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ... აქამდის ყველაფერი კარგად მიდიოდა, ეხლა კი ეს უბედურება მეწვია.

— ორი წელიწადი!... რატომ არ მისთხოვდი?



პეტრე დიდი.—ქანდაკებ; ანტოკოლსკისა

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რომ შეგვძლებოდა!... სადა გვქონდა იმოდენა ფული, რომ ქორწილი გადაგვეხადა...

ემბერ ჰარტ-ბერგს ცოტა გულზე მოეშვა. ქისაში საკმაოდ ფული ჰქონდა; თუმცა საგზაოდ ინახავდა, მაგრამ ხელახლა შევსება ძნელი არ იყო, ოღონდ კი სინიდისის მხილებისაგან გაენთავისუფლებინა თავი. ოჰ, როგორ მადლობას უძღვნის ექიმი განგებას, რომ ასე „კარგად“ მოეწყო ყველაფერი... რაც ფული ჰქონდა, ქალს მისუსტებულს ხელში ჩაუყარა.

— გეყოფა თუ არა, ელენე? მითხარი, ნუ გეხათრება?

— ოჰ, ბატონო მკურნალო! გვეყოფა და მერე როგორ გვეყოფა! ღმერმა გაკურთხოთ, ძვირფასო... განა არ ვიცოდი, რომ თქვენ გულკეთილი ბრძანდებით. მაშინ, მთელს ზაფხულს ამაზედ ველაპარაკებოდი იოსებს რომელიც ეჭვით უყურებდა ჩვენს დაახლოვებას. ჰხედავდა, რომ ერთად ტყეში დავსეირნობდით. მაგრამ მე ვეუბნებოდი: დაწყნარდი, ასეთი ბატონი აღარ დაბრუნდება ჩვენთან-მეთქი... ათასჯერ, ათასჯერ გმადლობთ გულკეთილობისათვის, არ მესმის რითი დავიმსახურე ასეთი წყალობა?

— ეხლა კი მშვიდობით, ელენე!

— მშვიდობით , გულკეთილო ძვირფასო მკურნალო, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება თქვენი გულკეთილობა.

შინ დაბრუნებისას ემბერ ჰარტ-ბერგი ისე ჩქარა მიდიოდა, რომ კაცს ეგონებოდა, ფრთები ასხიაო. სახე გაბრწყინვებოდა, თვალებსა და ტუჩებზე სიხარული ულიმოდა. როდესაც ოთახის კარები შეაღო, იქ მოხუცებული სახლის პატრონი დახვდა; მიჰვარდა, მოჰკიდა მხრებში ხელი, ორჯერ-სამჯერ შემოატრიალა და შესძახა:

— ფრაუ, გრიუნლუდ, გინახავთ როდისმე ბედნიერი, სავსებით ბედნიერი კაცი? არა? მაშ შემომხედეთ და დაინახავთ უუბედნიერესს კაცს ქვეყანაზე.

საღამოზე, როდესაც მატარებელი მიაქროლებდა საცოლესთან, ფანჯრიდან თვალი მოჰკრა უკან დარჩენილ ქალაქს და, ოცნებით გატაცებულმა, ფილოსოფიურად ჩაილაპარაკა:

— დიაღ, ასეთია ცხოვრება!

მერე ბ-ნმა მკურნალმა ემბერ ჰარტ-ბერგმა ამოიღო ჯიბიდან ფოტოგრაფიული სურათი, ნაზად აკოცა და წამოიძახა:

— ამისდა მიუხედავად, ცხოვრება მაინც კარგი და მშვენიერია.

ქ. ქ—მე

## სურათების განმარტება

მ. ანტოკოლსკი. წარსულ კვირაში გარდაიცვალა მთელს ქვეყანაში შესანიშნავი სკულპტორი მ. ანტოკოლსკი. მისმა საკვირველმა ნიჭმა შექმნა ისეთი ქანდაკებანი, რომ მთელმა განათლებულმა ქვეყანამ გენიოსის სახელი უწოდა ებრაელ მოქანდაკეს. მისმა უდროვოდ გარდაცვალებამ შეაწუხა მთელის ევროპის გაზეთები, რომელთაც გრძნობითა და ქებით სავსე წერილები უძღვნეს. განსვენებული ჭამბურგო-

დან პეტერბურგში მოასვენეს და იქ პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე დაკრძალეს დიდის ამბით; დაკრძალვას 20-ათას კაცზე მეტი დაესწრო.

„ცნობის ფურცლის“ დამატებაში უკვე გვქონდა დაბეჭდილი მისი მოკლე ბიოგრაფია (№ 11) და ორიოდე სიტყვა მის ქანდაკებათა შესახებ; მოთავსებული გვქონდა აგრეთვე მისი საუკეთესო ქანდაკებანი: „იესო ქრისტე“ (№ 11), „ქრისტე აღელვებულ ზღვას ამშვიდებს“ (№ 12), „იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი“ (№ 15), „იესო ქრისტე“ (№ 16) და „მეფისტოფელი“ (№ 17). ამ №-შიაც ვბეჭდავთ მის შესანიშნავ ქანდაკებათ: „იოანნე მრისხანე“? და „პეტრე დიდი“?.

## ამბავი სპარსეთის ცხოვრებიდან

სპარსეთში ერთ კაცს ქურდობისთვის მარგილზე ჩამოცმა გარდაუწყვიტეს. ვიდრემდის გარდაწყვეტილებას აღსრულებაში მოიყვანდნენ, დამნაშავე საპყრობილეში იჯდა და ფიქრობდა—როგორმე ეშველა თავისთვის. შუაღამისას თავში ერთი აზრი მოუვიდა და კარის რაკუნი დაიწყო:—ჩქარა საპყრობილის უფროსს დამიძახეთო. ისიც მოვიდა. ტუსაღმა უთხრა:—მე ხვალე მარგილზე უნდა ჩამომაცონ, მაგრამ ერთი ცოდნა მაქვს, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი ფასი აქვს და ნუ გამატანთ თან,—ნუ ჩაატარებთ უქმადაო. სთხოვე ხანს მოვიდეს ერთ წამს ჩემთან, რომ გადავცეო. აცნობეს ხანს, ისიც მოვიდა. მოახსენა: მე მაქვს აი ეს ბაჯაღლო, რომ დასთესოთ, აღმოცენდება და მუდამ ბაჯაღლოებს დაისხამსო. მოიხმარეთ ჩემს სახსოვრად და ქვეყნის სასარგებლოდაო. ხანი ეახლა შაჰს და გადასცა მისი ნათქვამი. როცა იმან გაიგო ბაჯაღლოს თვისების ამბავი, უთხრა: მაშ შენვე დასთესე და თუ აღმოცენდება და ნაყოფს მოისხამს, სასჯელიდან დაგიხსნიო. ბრალდებულმა უთხრა: დიდებულო შაჰო! საქმეც მაგაშია, რომ ჩემისთანა ცოდვილის ხელით დათესილი არ აღმოცენდებაო, თორემ აქამდისაც ხომ არ მოვაღწევდიო,—აბა შენ დასთესეო. შაჰმა იფიქრა, იფიქრა და გამოუტყდა: მეც ცოდვილი ვარო, პატარაობისას ბევრჯელ მამისთვის ოქროები მომიპარავსო. უხმო ვეზირებს და უბრძანა, დაეთესა ვისმე, ვინც უცოდველი იყო, მაგრამ ყველანი გამოტყდნენ თავიანთ ცოდვებში და აღიარეს რომ თავიანთ უმცროსებთან და პირად ინტერესების დასაცველად ყველას შემთხვევია ქურდობა და ავობა, და ამისთვის ვერავინ იდვა თავს დათესვა, რომ არ შერცხვენილიყო. მაშინ დამნაშავემ სთქვა: როგორც ვხედავ, ყველანი ჩემსავით ქურდები ყოფილხართო, ან ყველამ ჩემთან სასჯელი მიიღეთო და ან თქვენთან მეც განმათავისუფლეთო. შაჰი მიხვდა დამნაშავის ხერხს და სასჯელიდან გაანთავისუფლა.

გ. გ—ლი

## ჩვენი აგარაკები.



დრმა-დელე.



კოჯორი.



მტვერისაგან შეწუხებულმა ტფილისელებმა მოიგონეს პირზე ასაფარებელი ნივთი მტვერის წინააღმდეგ. ეს ქუთაისელებსაც გამოადგებათ!..




— გასწი, ნუ იზლაზნები! ცხენების ძებნაში ზაფხული კიდეც გავიდა და ტფილისში მცხოვრებნი ღამის მტვრით დავახრჩეთ!

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი